

“განხორციელების ოქმი” - შეთანხმებისთვის, რომელიც დადებულია ისრაელის სახელმწიფოს მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საქართველოს მოქალაქეების დროებითი დასაქმების შესახებ ისრაელის სახელმწიფოში შრომითი ბაზრის კონკრეტულ სექტორებში

დამხმარე მუშაკები ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე პაციენტებისათვის განკუთვნილ სამკურნალო დაწესებულებებში

პრეამბულა

ისრაელის სახელმწიფოს მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის დადებული შეთანხმების თანახმად, ისრაელის სახელმწიფოში შრომითი ბაზრის კონკრეტულ სექტორებში საქართველოს მოქალაქეების დროებითი დასაქმების შესახებ (შემდგომში: “შეთანხმება”);

სურს რა დადოს „განხორციელების ოქმი“ ისრაელში ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე პაციენტებისათვის განკუთვნილი სამკურნალო დაწესებულებებისათვის საქართველოდან დამხმარე მუშაკების კადრების შერჩევისა და დროებითი დასაქმების მიზნით, ქრონიკული ან რთული სამედიცინო მდგომარეობის მქონე პირების და/ან ფიზიკური ან კოგნიტური უნარების დარღვევების მქონე პირების მოსავლელად, ორივე ქვეყნის მთავრობებს შორის დადებული თანამშრომლობის პროცედურის შესაბამისად, როგორც ეს მოცემულია ქვემოთ;

შეთანხმების მხარეები თანხმდებიან იმაზე, რომ წინამდებარე „განხორციელების ოქმის“ საშუალებით (შემდგომში: “განხორციელების ოქმი” ან “ოქმი”), რომელიც დადებულია ერთი მხრივ მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურსა, ისრაელის სახელმწიფოს მთავრობის სახელით (შემდგომში მოხსენიებული როგორც “PIBA”) და მეორეს მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - “დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს” შორის რომელიც ექვემდებარება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს მთავრობის სახელით (შემდგომში მოხსენიებული როგორც “SESA”) (შემდგომში ჩვეულებრივ მოხსენიებული როგორც “თანამშრომლობის ორგანოები”) განსაზღვრულ უნდა იქნას ისრაელში ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში დასაქმებული ქართველი დამხმარე მუშაკების კადრების შერჩევის პროცედურები და წაკითხულ უნდა იქნას „შეთანხმებასთან“ ერთად.

აღნიშნულ „შეთანხმებაში“ განსაზღვრული ყველა ტერმინი გამოიყენება წინამდებარე „განხორციელების ოქმში“.

მუხლი 1 ტერმინთა განმარტებები

აღნიშნული „განხორციელების ოქმის“ მიზნებისათვის:

ტერმინი "განმცხადებელი" ნიშნავს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელმაც შეიტანა განცხადება ისრაელში დამხმარე მუშაკად ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე პაციენტებისათვისთვის განკუთვნილ სამკურნალო დაწესებულებაში დროებით სამუშაოზე დასაქმებისთვის, რომლის ჩარჩოებიც განსაზღვრულია აღნიშნული შეთანხმებითა და წინამდებარე ოქმით.

ტერმინი „დამსაქმებელი“ ნიშნავს ისრაელში ხანგრძლივი მოვლის იმ ლიცენზირებულ დაწესებულებას, რომელსაც გააჩნია ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურის“ (PIBA-ს) მიერ გაცემული ნებართვა უცხოელი დამხმარე მუშაკების დასაქმებაზე, რომელიც ექვემდებარება ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურის“ PIBA-ს წესებსა და პროცედურებს.

ტერმინი „სტანდარტული შრომითი ხელშეკრულება“ („SEC“) ნიშნავს დამსაქმებელსა და განმცხადებელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელსაც ხელი უნდა მოეწეროს ინგლისურ, ქართულ და ებრაულ ენებზე. უპირატესობა ენიჭება „სტანდარტული შრომითი ხელშეკრულების“ (SEC) ინგლისურენოვან ტექსტს.

ტერმინი "დროებითი დასაქმება" უნდა ნიშნავდეს ისრაელში დამსაქმებლის მიერ, საქართველოში გაცემული ბიომეტრიული პასპორტის მქონე საქართველოს მოქალაქის ლეგალურ დასაქმებას, როგორც დამხმარე მუშაკი ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე პაციენტებისათვისთვის განკუთვნილ სამკურნალო დაწესებულებაში, ისრაელის ეროვნული კანონმდებლობის, რეგულაციების, წესების, პროცედურების, მექანიზმებისა და დადგენილებების შესაბამისად, რომელიც გაცემულია ისრაელის სახელმწიფოს მთავრობის მიერ, დროის შეზღუდულ პერიოდზე, რის შემდეგაც საქართველოს მოქალაქემ აუცილებლად უნდა დატოვოს ისრაელი.

ტერმინი „დამხმარე მუშაკი“ ან „მუშა“ ნიშნავს წინამდებარე ოქმის მიხედვით, როსტერის სიაში რეგისტრირებულ საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელმაც მიიღო და ხელი მოაწერა „თანამშრომლობის ორგანოებისგან“ მიღებულ „სტანდარტულ შრომით ხელშეკრულებას“ (SEC), როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე ოქმით, ქრონიკული ან რთული სამედიცინო მდგომარეობის მქონე პირების და/ან ფიზიკური ან კოგნიტური უნარების დარღვევების მქონე პირების მომვლელის პოზიციაზე დასაქმების მიზნით (მაგალითად, დემენცია ან ალცჰაიმერის დაავადება), რომლებიც ცხოვრობენ ისრაელში ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე პაციენტებისათვისთვის განკუთვნილ სამკურნალო დაწესებულებაში, რეგისტრირებული ექთნის ინსტრუქციის, ხელმძღვანელობისა

და მეთვალყურეობის ქვეშ, რომელიც პასუხისმგებელია პაციენტის მოვლის მართვასა და კოორდინაციაზე.

ექვსის თავიდან ასაცილებლად, ყველგან, სადაც აღნიშნულ ოქმში გამოყენებულია გრამატიკულად მამრობითი ფორმა, იგივე ეხება ასევე მდედრობითი სქესის წარმომადგენელსაც.

მუხლი 2

ზოგადი

1. წინამდებარე „განხორციელების ოქმის“ ფარგლებში ქართველი დამხმარე მუშაკის პოზიციაზე კადრების შერჩევა უნდა განხორციელდეს თითოეული ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის, რეგულაციების, წესების, პროცედურების და მექანიზმების შესაბამისად.
2. ის დამხმარე მუშაკები, რომელთა შერჩევაც მოხდა წინამდებარე „განხორციელების ოქმის“ შესაბამისად, მათი დასაქმება მოხდება ისრაელის სახელმწიფოს შრომის კანონის შესაბამისად, შესაბამისი კოლექტიური ხელშეკრულებებისა და ექსტენციის ბრძანების (extension order) ჩათვლით (რომლის მიხედვითაც კოლექტიური ხელშეკრულება ვრცელდება ეკონომიკის ცაკლეულ დარგზე).

მუხლი 3

თანამშრომლობის ორგანოები

„თანამშრომლობის ორგანოები“ პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ წინამდებარე „განხორციელების ოქმის“ შესრულებაზე.

მუხლი 4

თანამშრომლობის ორგანოების ვალდებულებები

1. ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურის“ PIBA-ს ვალდებულებები – „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახური“ PIBA, ისრაელის შესაბამის უფლებამოსილ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით გადადგავს ყველა იმ გონივრულ ნაბიჯს:
 - a. რათა უზრუნველყოს რომ სამუშაო ადგილის შეთავაზებები რომლებიც გადაეგზავნება „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს“ (SESA-ს) იყოს ისრაელის კანონმდებლობისა და პროცედურების შესაბამისი.
 - b. დაიცავს ისრაელში ქართველი „დამხმარე მუშაკების“ უფლებებს ისრაელის შესაბამისი კანონებისა და წესების შესაბამისად.

2. „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს“ (SESA-ს) ვალდებულებები - „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო“ (SESA) საქართველოს შესაბამის უფლებამოსილ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით, გადადგამს ყველა გონივრულ ნაბიჯს:
- a. დამხმარე მუშაკის კადრებად შეარჩიოს მხოლოდ ის მუშაკები, რომლებიც არიან კვალიფიციური და აკმაყოფილებენ წინამდებარე ოქმით დადგენილ ყველა წინაპირობას, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობაც სამედიცინო თვალსაზრისით არის ვარგისი, რომელთაც არა აქვთ ნასამართლეობა საქართველოში და რომლებიც პასუხობენ სამუშაოს სპეციფიკაციის მოთხოვნებს.
 - b. გადაამოწმოს იმ დამხმარე მუშაკების ვინაობა რომელთა კადრების შერჩევაც მოხდება და უზრუნველყოს, რომ მათი დოკუმენტები იყოს ავთენტური/ნამდვილი.
 - c. მოითხოვოს რომ დამხმარე მუშაკებმა ისრაელში ცხოვრებისას დაიცვან ისრაელის კანონები და ადათ-წესები.
3. „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს“ (SESA-ს) ან მისი სახელით მოქმედ ნებისმიერ ორგანიზაციას ან პირს არ უნდა ჰქონდეს პირდაპირი კომუნიკაცია ან ურთიერთობა დამსაქმებელთან და ყველა ამგვარი კომუნიკაცია აუცილებლად უნდა განხორციელდეს ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურის“ (PIBA-ს) არხის საშუალებით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვა რამე არის შეთანხმებული ორივე მხარის მიერ ისრაელის მთავრობისა (PIBA-სა) და „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს“ SESA-ს მიერ. განმცხადებელთა კადრების შერჩევა აუცილებლად უნდა განხორციელდეს საქართველოში კერძო დამქირავებელი სააგენტოების მონაწილეობის გარეშე.
4. ორივე თანამშრომლობის ორგანოები თანახმაა:
- a. გადადგას ყველა აუცილებელი ნაბიჯი აღნიშნული ოქმის სწრაფი განხორციელების უზრუნველსაყოფად.
 - b. გადადგას ყველა ის გონივრული და აუცილებელი ნაბიჯი, რათა უზრუნველყოს რომ კადრების შერჩევის პროცედურა იყოს გამჭვირვალე, და რომ განმცხადებლებს მიეწოდებოდეს ყველა შესაბამისი ინფორმაცია (მათ შორის ისრაელში მათი ლეგალურად ყოფნისა და დასაქმების ვალდებულებების ჩათვლით და მათი საქართველოში დაბრუნების შესახებ ისრაელში მათი კანონიერი დროებითი სამუშაო პერიოდის დასრულების შემდეგ) და რომ არც ერთ მითითებულ ქვეყანაში დაქირავებისა და დასაქმების მთელი პროცესის განმავლობაში განმცხადებლებისგან ან დამხმარე მუშაკიდან პირდაპირ ან ირიბად არ მოხდება დაქირავების არალეგალური გადასახადის აღება.

- c. გადადგას ყველა გონივრული ნაბიჯი იმის უზრუნველსაყოფად, რომ განმცხადებლები და დამხმარე მუშაკები ასრულებენ ამ ოქმში მითითებულ პირობებს.

მუხლი 5 წინაპირობები

1. წინამდებარე „განხორციელების ოქმის“ შესაბამისად დასასაქმებელმა განმცხადებლებმა უნდა შეასრულონ შემდეგი წინაპირობები:
 - a. ისინი უნდა იყვნენ 25-45 წლამდე ასაკის (ან უფრო მაღალი მაქსიმალური ასაკის თუკი ეს გათვალისწინებულია ისრაელის მოთხოვნაში მე-6 მუხლის შესაბამისად).
 - b. მათი სიმაღლე უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 1.5 მეტრს და წონა 45 კგ-ს.
 - c. მათ წარმატებით უნდა ქონდეთ გავლილი პროფესიული სწავლება საქართველოში როგორც ექთანი ან ექთნის თანაშემწე ან დასრულებული უნდა ქონდეთ ტრეინინგის პროგრამა სახლის პირობებში გასაწევ სამედიცინო დახმარება/მოვლაში (ან სხვა შესაბამისი სწავლება რომელზეც უნდა შეთანხმდნენ „თანამშრომლობის ორგანოები“) რომელთა აღიარება და ზედამხედველობაც განხორციელდა საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო სამთავრობო ორგანოების მიერ და მიღებული აქვთ ოფიციალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი/სერთიფიკატი) რომელიც ადასტურებს რომ მათ გაიარეს ამგვარი ტრეინინგი. ისრაელის მხარე იტოვებს უფლებას მოითხოვოს, რომ ზოგიერთმა ან ყველა განმცხადებელმა გაიაროს სასწავლო კურსი განახლებული სასწავლო პროგრამის შესაბამისად რომელზეც შეთანხმდება ორივე თანამშრომლობის ორგანოს მხარე. დაზუსტების სახით განმარტებულია, რომ განმცხადებლები დასაქმებული იქნებიან მხოლოდ როგორც დამხმარე მუშაკები.
 - d. ისინი უნდა ფლობდნენ ინგლისურ ან რუსულ ენას, რაც მათ საშუალებას მისცემს კომუნიკაცია დაამყარონ შესაბამის ორგანოებთან და ისრაელში ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე პაციენტებისათვის განკუთვნილი სამკურნალო დაწესებულებების პერსონალთან.
 - e. მათ წარმატებით უნდა ქონდეთ დასრულებული საშუალო სკოლა.
 - f. მათ ადრე არასოდეს არ უნდა ქონდეთ ნამუშევარი ისრაელში.
 - g. მათ არ უნდა ჰყავდეთ მშობლები, მეუღლე ან შვილები, რომლებიც მუშაობენ ან ცხოვრობენ ისრაელში (ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახური“ PIBA იტოვებს უფლებას შესაბამის პირობებში მოახდინოს იმ განმცხადებლის დიკვალიფიკაცია, ვისაც ისრაელში დასაქმებული ან მობინადრე დედამამიშვილები - და ან ძმა ყავს).
 - h. ისინი უნდა იყვნენ ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელები, არ უნდა ქონდეთ დაავადებები ან ქრონიკული ჯანმრთელობის მდგომარეობა (რომელიც არ შემოისაზღვრება) მათ შორის ტუბერკულოზი, ჰეპატიტი, სიფილისი, გონორეა და შიდსი; და უნდა ქონდეთ უნარი შეასრულონ მძიმე

- სამუშაო როგორც დამხმარე მუშაკი ისრაელის ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებაში, მათ შორის სიმძიმეების აწევის ჩათვლით და არ უნდა ქონდეთ ნარკოტიკების ან ალკოჰოლის ბოროტად მოხმარების ისტორია.
- i. მათ თანხმობა უნდა ქონდეთ მიცემული იმაზე, რომ ისრაელში შემოსვლამდე COVID-19-ის ტესტი გაიარონ საქართველოში, როგორც ეს შეთანხმებულია თანამშრომლობის ორგანოებს შორის (საჭიროების შემთხვევაში) და მათ უნდა ესმოდეთ, რომ მათი ისრაელში შემოსვლა იქნება პირობითი, კერძოდ COVID-19-ზე უარყოფითი პასუხის მიღების შემთხვევაში. ამგვარი ტესტირების ხარჯი არ იქნება დაფარული ისრაელის მხარის მიერ.
 - j. მათ თანხმობა უნდა ქონდეთ მიცემული იმაზე, რომ ისრაელში ჩამოსვლის შემდეგ მათ გაუკეთდებათ ვაქცინაცია, რომელიც აუცილებელია ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებაში სამუშაოდ ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროს მოქმედი რეგულაციების შესაბამისად და მათ უნდა განაცხადონ, რომ რამდენადაც მათთვის ცნობილია არ არსებობს რაიმე სახის იმგვარი დაბრკოლება რაც ხელს შეუშლიდა მათ ვაქცინაციის ჩატარებაზე.
 - k. მათ არ უნდა ქონდეთ ნასამართლეობა.
 - l. მათ უნდა ქონდეთ საქართველოს მოქალაქეობა.
 - m. მათ არასოდეს არ უნდა ქონდეთ ისრაელში არალეგალური ბინადრობა, არ უნდა იყოს არანაირი მითითება იმაზე, რომ ისინი ამჟამად აპირებენ ან აპირებდნენ წარსულში ისრაელში დასახლებას ან ისრაელში სტატუსის მიღებას გარდა დროებითი უცხოელი მუშაკისა და მათ უნდა ესმოდეთ და თანხმობა ქონდეთ მიცემული იმაზე, რომ მათ აუცილებლად უნდა დატოვონ ქვეყანა მაქსიმალური ნებადართული სამუშაო ვიზის ვადის ბოლოს (ვიზა შეიძლება ჩვეულებრივ გაგრძელდეს ერთ ჯერზე ერთი წლის ვადით, მაქსიმუმ 5 წლამდე - რომელიც ექვემდებარება სამუშაო ნებართვის პირობების შესრულებას და ისრაელის სამთავრობო პოლიტიკას დამხმარე მუშაკთა კვოტების შესახებ).
 - n. ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ ნებისმიერ სხვა შესაბამის კრიტერიუმს როგორც ამას მოითხოვს „ისრაელის მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახური PIBA“.

მუხლი 6

ფორმალური თხოვნა დამხმარე მუშაკებსა და რეკლამაზე

1. ისრაელის სახელმწიფოს მთავრობის პოლიტიკისა და კვოტების გათვალისწინებით, ისრაელში ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში დროებითი უცხოელი დამხმარე მუშაკების დასაქმების შესახებ, „ისრაელის მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახური PIBA“ ელექტრონული ფოსტის გამოყენებით დროდადრო გამოუგზავნის საქართველოს „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს“ (SESA-ს) ოფიციალურ წერილს, სადაც მოთხოვნილი იქნება დაიწყოს ის პროცედურები, რომლებიც განსაზღვრულია წინამდებარე „განხორციელების ოქმის“ შესაბამისად (შემდგომში მოხსენიებული როგორც: „ფორმალური თხოვნა“). „ისრაელის მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურმა PIBA“ ფორმალურ თხოვნაში შეიძლება შეიტანოს განმცხადებელთა წინასწარ განსაზღვრული მინიმალური/მაქსიმალური რაოდენობა რომლებიც შეტანილ უნდა იქნას მონაცემთა ბაზაში და კადრების შერჩევისათვის გამოყოფილი დროის ფარგლები.
2. პროცედურას დაწყების შემთხვევაში, საქართველოს „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო“ (SESA) 14 დღის განმავლობაში ოფიციალური წერილის გამოყენებით (რომელიც გაიგზავნება ელექტრონული ფოსტით) აცნობებს „ისრაელის მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურს“ (PIBA-ს) დაიწყო თუ არა პროცედურა და ასევე მიაწვდის ინფორმაციას გატარებული სპეციფიკური ქმედებების შესახებ.
3. იმ შემთხვევაში, თუ „საქართველოს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო“ (SESA) არ უპასუხებს ან სრულად არ უპასუხებს წერილობით ფორმაში „ისრაელის მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურის“ (PIBA-ს) ფორმალურ თხოვნას, როგორც ეს მოცემულია მე-2 პუნქტში ზემოთ, 14 დღის განმავლობაში, მაშინ „ისრაელის მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურს“ (PIBA-ს) შეუძლია გააუქმოს ეს ფორმალური თხოვნა.
4. თუ „საქართველოს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო“ (SESA) ვერ შეძლებს მოთხოვნილ მუშაკთა მაქსიმალური რაოდენობის აყვანას „ფორმალური თხოვნით“ განსაზღვრულ ვადაში, მაშინ „ისრაელის მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურმა“ (PIBA-მ) შესაძლოა შეატყობინოს საქართველოს „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს“ (SESA-ს), რომ ამ ფორმალური თხოვნის შესაბამისად კადრების შემდგომი შერჩევის პროცესი შეწყვეტილ იქნა.
5. საქართველოს „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო“ (SESA) განახორციელებს ფართომასშტაბიან საინფორმაციო კამპანიებსა და ადგილზე მოსახლეობასთან შეხვედრებს საჭიროების მიხედვით, რათა ინფორმაცია მიაწოდოს პოტენციურ კვალიფიციურ სამუშაოს მაძიებლებს

იმ შესაძლებლობის შესახებ, რაც მათ საშუალებას აძლევს წარადგინონ განაცხადები დროებითი დამხმარე მუშაკის თანამდებობებზე სამუშაოდ ისრაელში, ისრაელის „ფორმალური თხოვნის“ შესაბამისად, საქართველოს „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს“ (SESA-ს) რეგულარული არხების გამოყენებით, აგრეთვე სხვა შესაბამისი საინფორმაციო არხების გამოყენებით „ისრაელის მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურთან“ (PIBA-სთან) კოორდინაციის შესაბამისად. განცხადებების ტექსტი შეთანხმებულ უნდა იქნას ერთობლივად საქართველოს „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსა“ (SESA-სა) და ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურს“ (PIBA-ს) შორის „ფორმალური თხოვნის“ შესაბამისად.

6. ინფორმაცია რომელიც უნდა გასაჯაროვდეს, მათ შორის შესაძლოა მოიცავდეს შემდეგს:
 - a. თანამდებობა: დამხმარე მუშაკები ისრაელში ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე პაციენტებისათვის განკუთვნილი სამკურნალო დაწესებულებებისათვის;
 - b. ზოგადი თანამდებობრივი ინტრუქცია მოიცავს სამუშაო და საცხოვრებელ პირობებს;
 - c. დასაქმებულთა სავარაუდო რაოდენობა რაც საჭიროა თითოეული სქესის მიხედვით;
 - d. წინასწარი გათვლით სავარაუდო მინიმალური ხელფასი და დასაშვები და სავალდებულო გამოქვითვები;
 - e. სხვა შეღავათები;
 - f. კვალიფიკაცია და სხვა წინაპირობები როსტერის სიაში მოსახვედრად;
 - g. დამხმარე მუშაკის დასაქმებასთან დაკავშირებული წინასწარი სავარაუდო ხარჯები;
 - h. სამუშაოს ნებართვის მაქსიმალური ხანგრძლივობა;
 - i. კადრების შერჩევის პროცედურის ზოგადი აღწერა, მათ შორის შემთხვევითი შერჩევის პრინციპის პროცესის ჩათვლით და ვებგვერდის ბმულზე მითითებით, რომელიც მოიცავს უცხოელ მუშათა/დასაქმებულთა უფლებების სახელმძღვანელოს;
 - j. განაცხადების წარდგენის თარიღები თითოეული რაუნდისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - k. სპეციალური მოთხოვნები COVID-19 პანდემიის გათვალისწინებით (საჭიროების შემთხვევაში);
 - l. სხვა მოთხოვნები ან კრიტერიუმები, რომლებიც შესაძლოა განსაზღვრულ იქნას ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურის“ (PIBA-ს) მიერ.
 - m. საქართველოს „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს“ (SESA-ს) ვებ-გვერდის მისამართი, რომელიც მოიცავს ვებ-გვერდის ბმულს, სადაც მოცემულია დეტალური ინფორმაცია ზემოაღნიშნულის შესახებ.

7. ინფორმაცია ასევე ხაზს უნდა უსვავდეს იმას, რომ ისრაელის სახელმწიფოს მთავრობა და/ან ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახური“ (PIBA) არ იქნება მუშათა/მშრომელთა დამსაქმებელი.

მუხლი 7

განაცხადის წარდგენისა და კადრების შერჩევის პროცესი

1. განაცხადის მიღების საწყისი პროცესი განხორციელდება ინტერნეტით ონლაინ რეჟიმში. თითოეულმა განმცხადებელმა, რომელიც განაცხადს შემოიტანს აღნიშნულ თანამდებობაზე, უნდა ატვირთოს მტკიცებულება/დეკლარაცია (შესაბამის შემთხვევაში) საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს" (SESA-ს) სარეგისტრაციო პორტალზე, რომ იგი აკმაყოფილებს მე-5 მუხლით გათვალისწინებულ ყველა წინაპირობას. ამასთან ერთად, თითოეულმა განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს დეკლარაცია, რომელიც მოიცავს განმცხადებლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე ან განმცხადებლის შესახებ ინფორმაციაზე კონფიდენციალურობის გაუქმებას, რომელიც შესაძლებელია გაზიარებულ იქნას საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსა" (SESA-სა) და ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურს“ (PIBA-ს) მიერ და იმ მესამე მხარის მიერ, რომლებსაც მინიჭებული აქვთ უფლებამოსილება ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურსგან“ (PIBA-სგან) მიიღონ და გამოიყენონ ამგვარი ინფორმაცია ამ ოქმის მიზნებისათვის. თითოეული განმცხადებელი მიიღებს განაცხადის ნომერს და საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსგან" ("SESA-სგან") წერილობით დადასტურებას, რომ მისი განცხადება მიღებულია. განმცხადებლებს შეუძლიათ გამოიყენონ განაცხადის ნომერი, რათა მიიღონ ინფორმაცია "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსგან" (SESA-სგან) მათ მიერ წარდგენილი განაცხადის სტატუსთან დაკავშირებით.
2. ძირითადი ინფორმაცია კადრების შერჩევის პროცესთან და სამუშაო მოთხოვნებთან დაკავშირებით განთავსდება საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს" (SESA-ს) პორტალზე.
3. საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო" (SESA) შეამოწმებს იმ განმცხადებელთა დასაშვებობას, რომლებმაც განაცხადი ინტერნეტით წარმოადგინეს. იმ განმცხადებლებს, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ წინაპირობებს, საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსგან" (SESA-სგან) გაეგზავნებათ

წერილობითი შეტყობინება, რომ მათი განაცხადება უარყოფილია (შესაბამისი მიზეზის მითითებით). ის განმცხადებლები, რომლებიც შეასრულებენ წინაპირობებს, მოხვდებიან საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს" (SESA-ს) საბოლოო სიაში.

4. საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო" (SESA) გაუგზავნის ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურს“ (PIBA-ს) შერჩეულ განმცხადებელთა საბოლოო სიას კომპიუტერული ცხრილის სახით ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურის“ (PIBA-ს) მიერ მოთხოვნილ ფორმატში, რომელიც თითოეული განმცხადებლის შესახებ უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას: სრული სახელი და გვარი (დაყოფილი უნდა იყოს ორ სვეტად: სახელის სვეტი და გვარის სვეტი), სამამდე (3) წინა ან ადრინდელი სახელი და სამამდე (3) წინა ან ადრინდელი გვარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მამის სახელი, დაბადების თარიღი, სქესი, პასპორტის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ეროვნული პირადობის ნომერი (შემდგომში "მონაცემთა ბაზა"). ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახური“ (PIBA) იტოვებს უფლებას განმცხადებლებისგან მოითხოვოს დამატებითი შესაბამისი ინფორმაცია და ჩასვას ის მონაცემთა ბაზაში.
5. განმცხადებელთა დეტალები რომელიც შეტანილია მონაცემთა ბაზაში განხილულ უნდა იქნას ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურის“ (PIBA-ს) მიერ *prima facie*-ს პრინციპით შემოწმებისთვის (შემდგომში „გვარსახელის შემოწმება“), რათა დადგინდეს აკმაყოფილებენ თუ არა ისინი PIBA-ს მოთხოვნებს პირის ისრაელში შესვლის შესახებ, მათ შორის იმას, რომ მათ ადრე არასდროს უმუშავიათ ისრაელში, არ ჰყავთ მშობლები, მეუღლე ან შვილები, რომლებიც ამჟამად მუშაობენ ან ცხოვრობენ ისრაელში და ა.შ. განმცხადებლები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ისრაელის მოთხოვნებს, ამოღებულ იქნებიან მონაცემთა ბაზიდან. ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურისთვის“ (PIBA-სთვის) სავალდებულოა შეატყობინოს საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს" (SESA-ს) მონაცემების ამგვარი ამოღების შესახებ, ხოლო საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ" (SESA-მ) შემდგომში უნდა შეატყობინოს განმცხადებლებს მათი მონაცემების ამოღების შესახებ.
6. საბოლოოდ შერჩეულ განმცხადებლებს, რომლებიც მონაცემთა ბაზაში დარჩნენ გვარ-სახელის შემოწმების შემდეგ, დაუკავშირდება საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო" (SESA) და მოიწვევს დასაქმების სააგენტოს (SESA-ს) ოფისებში, რათა მათ

წარმოდგინონ თავიანთი ორიგინალი დოკუმენტები და გაიარონ გასაუბრება იმის დასადგენად, არსებობს თუ არა აშკარა დაბრკოლება მათ დასაშვებობასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით, მათ შორის მოხდება რუსული/ინგლისური ენის ცოდნის უნარების ზოგადი შეფასება. "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო" (SESA) ასევე გონივრულად გადაამოწმებს გასაუბრების დროს წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობას. ის განმცხადებლები, რომლებიც ვერ გაივლიან გასაუბრებას, ან რომელთა დოკუმენტაციის ვალიდურობა/ნამდვილობა ვერ იქნება დადასტურებული, მათ გაეგზავნებათ წერილობითი შეტყობინება დასაქმების სააგენტოდან SESA-სგან, რომ მათი განცხადება უარყოფილია (ამგვარის მიზეზების მითითებით) და რომ ისინი ამოღებულ იქნებიან მონაცემთა ბაზიდან. განახლებული მონაცემთა ბაზა შემდეგ გაეგზავნება ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურს“ (PIBA-ს).

7. ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახური“ (PIBA) არ არის ვალდებული აიყვანოს ყველა ის კვალიფიციური განმცხადებელი რომელიც მოცემულია განახლებულ მონაცემთა ბაზაში. განურჩევლად მუშაკთა/მუშათა მოთხოვნილი რაოდენობისა და მიწოდებული განმცხადებელთა რაოდენობისა, ქართველი დამხმარე მუშაკების ის მაქსიმალური რაოდენობა, რომელსაც ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახური“ (PIBA) შეარჩევს, არ უნდა აღემატებოდეს განახლებულ მონაცემთა ბაზაში ჩამოთვლილი მუშაკთა მთლიანი რაოდენობის 75% -ს. ამასთან ერთად, შერჩეულ მუშაკთა რაოდენობა არცერთ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს მოთხოვნილ მუშაკთა რაოდენობას.
8. ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურმა“ (PIBA-მ) შემთხვევითი შერჩევის პრინციპით უნდა შეარჩიოს განმცხადებელთა თითოეული სქესის წარმომადგენელთა არაუმეტეს 75%, რომელიც შეტანილ უნდა იქნას საბოლოო მონაცემთა ბაზაში, უნდა მოახდინოს რიგითი ნომრის გენერირება თითოეული იმ განმცხადებლისთვის, რომელიც შესულია საბოლოო მონაცემთა ბაზაში და უზრუნველყოს საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთვის" (SESA-სთვის) საბოლოო მონაცემთა ბაზის გადაცემა. საბოლოო მონაცემთა ბაზის გამოყენებით მოხდება განმცხადებელთა როსტერის სიის შედგენა (შემდგომში „როსტერის სია“). საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო" (SESA) შეტყობინებას გაუგზავნის იმ განმცხადებლებს, რომელთა შერჩევაც არ მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპის გამოყენებისას როგორც ასეთი.

9. როსტერის სააში შესული განმცხადებლებისათვის საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს" (SESA-ს) მოთხოვნა უნდა იყოს შემდეგი:
- a. გაიარონ სამედიცინო გამოკვლევა, რომელიც უნდა ჩატარდეს ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურის“ (PIBA-ს) მიერ მოწოდებული ფორმის შესაბამისად, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან" (SESA). სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს იმ სამედიცინო დაწესებულებებში, რომლებიც რეგისტრირებულია და რომელსაც ზედამხედველობას გაუწევს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. სამედიცინო დაწესებულებები სამედიცინო გამოკვლევების შედეგებს უშუალოდ გადასცემენ საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს" (SESA-ს).
 - b. წარმოადგინონ მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მათ საქართველოში არა აქვთ არანაირი ნასამართლეობა.
10. ის განმცხადებლები, რომლებმაც არ გაიარეს სამედიცინო შემოწმება ან არ წარმოადგინეს ნასამართლეობის არარსებობის დამადასტურებელი საბუთი, ამოღებულ იქნებიან როსტერის სიიდან. ამის შესახებ საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს" (SESA) შეტყობინებას გაუგზავნის ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურის“ (PIBA-ს), იმ დროის ფარგლებში და იმ წესით, რომელზე შეთანხმებაც მოხდება ისრაელის მხარესთან (PIBA-სთან).
11. საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს" (SESA-ს) მიერ ჩატარებულ გასაუბრებასთან ერთად, ზემოთ მოცემული მე-6 პუნქტის შესაბამისად, ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურის“ (PIBA-ს) შეუძლია სთხოვოს დასაქმების სააგენტოს (SESA-ს) მოიწვიოს როსტერის სიიდან შერჩეული განმცხადებლები მოკლე ონლაინ ან/და ჩაწერილ ვიდეო გასაუბრებაზე "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს" (SESA-ს) შენობაში ინგლისურ/რუსულ ენაზე ან „თანამშრომლობის ორგანოების“ მიერ შეთანხმებული სხვა შენობა-ნაგებობაში შეთანხმებულ თარიღებსა და დროზე. ასეთ შემთხვევაში, „თანამშრომლობის ორგანოები“ მიაღწევენ შეთანხმებას ამგვარი გასაუბრების ჩატარებასთან დაკავშირებით, აგრეთვე იმის შესახებაც, თუ როგორ უნდა მოხდეს მასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა.

12. ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახური“ (PIBA) იტოვებს უფლებას მოითხოვოს დამატებითი ცნობები/მოთხოვნები ან ინფორმაცია როსტერის სიაში არსებულ განმცხადებლებთან დაკავშირებით, თუკი ამას საჭიროდ ჩათვლის.
13. ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახური“ (PIBA) იტოვებს უფლებას ნება დართოს სავარაუდო დამსაქმებლებს ქონეთ წვდომა ვიდეო გასაუბრებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან სხვა შესაბამის ინფორმაციაზე, რომელიც მოცემულია ისრაელის სააგენტოს PIBA-ს მოთხოვნის შესაბამისად. ამგვარი გასაუბრებები ან სხვა შესაბამისი ინფორმაცია სავალდებულოა რომ არ უნდა შეიცავდეს სახელს ან სხვა საიდენტიფიკაციო ინფორმაციას თითოეული განმცხადებლის შესახებ.

მუხლი 8

სამუშაოს შეთავაზება და შრომითი ხელშეკრულება

1. ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახური“ (PIBA) გადასცემს საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს" (SESA-ს) სამუშაოს შეთავაზებებს შერჩეული განმცხადებლებისათვის დამსაქმებლის მიერ ხელმოწერილი დასკანირებული „სტანდარტული შრომითი ხელშეკრულების“ (SEC-ის) სახით.
2. „სტანდარტულ შრომით ხელშეკრულებაში“ (SEC) ჩამოყალიბებული იქნება მუშაკის დასაქმების პირობები, მათ შორის დასაშვები და სავალდებულო გამოქვითვების შესახებ ხელფასიდან, რომელიც უნდა იყოს ისრაელის კანონების, რეგულაციების, წესების, პროცედურებისა და ექსტენციური ბრძანებების შესაბამისი (ან საჭიროების შემთხვევაში კოლექტიურ ხელშეკრულებების შესაბამისი).
3. „სტანდარტული შრომითი ხელშეკრულება“ (SEC) იქნება პირობითი, რომელიც დამოკიდებული იქნება განმცხადებლის მიერ ისრაელის ვიზის მიღებაზე, მათ შორის საჭირო სამედიცინო შემოწმების გავლაზე და COVID-19-თან დაკავშირებულ ნებისმიერ მოთხოვნაზე, რომელიც რელევანტური იქნება ისრაელში შესვლის დროისთვის და როგორც ეს გათვალისწინებულია მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებით და მისი ჩასვლა ისრაელში უნდა მოხდეს რაც შეიძლება მალე და არაუგვიანეს 30 დღის ვადაში „სტანდარტული შრომითი ხელშეკრულების“ (SEC-ის) ხელმოწერის დღიდან.

4. საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო" (SESA), „სტანდარტული შრომითი ხელშეკრულების“ (SEC-ის) მიღებისთანავე, განუმარტავს განმცხადებელს „სტანდარტული შრომითი ხელშეკრულების“ (SEC-ის) პირობებს, რათა მან სრულად გაიგოს ის და გადაწყვიტოს მიიღოს თუ არა აღნიშნული შეთავაზება საკუთარ ნებაზე დაყრდნობით.
5. განმცხადებელს ექნება საქართველოში მოქმედი ხუთი (5) სამუშაო დღე სამუშაო შეთავაზების მისაღებად, დასკანირებული „სტანდარტული შრომითი ხელშეკრულების“ (SEC-ის) საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოდან" (SESA-დან) მიღების დღიდან, „სტანდარტული შრომითი ხელშეკრულებისა“ (SEC-ის) და დეკლარაციის ხელმოწერით ინგლისურ და ქართულ ენებზე, შესაბამისი ვალდებულებების მითითებით ისრაელში განმცხადებელის მხრიდან ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურის“ (PIBA-ს) პროცედურების და ისრაელის კანონის შესაბამისად (მათ შორის შეთანხმება ისრაელში შესვლის შემდეგ აუცილებელი ვაქცინაციის მიღებასთან დაკავშირებით) და ინფორმაციის კონფიდენციალობაზე უარის თქმის ჩათვლით (შემდგომში „PIBA დეკლარაცია“) და ხელმოწერილი დოკუმენტების წარდგენა "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში" (SESA-ში), რომელიც მათ დაასკანერებს და გადასცეს მათ ისრაელის მხარეს PIBA-ს. „ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახური“ (PIBA) შემდეგ გადაუგზავნის დამქირავებელს „სტანდარტული შრომითი ხელშეკრულების“ (SEC-ის) ხელმოწერილ დასკანირებულ ასლს.
6. თუ განმცხადებელი გადაწყვეტს რომ არ მოაწეროს ხელი „სტანდარტულ შრომით ხელშეკრულებაზე“ (SEC), ამის მიზეზი საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ" (SESA-მ) უნდა გადასცეს ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურს“ (PIBA-ს).
7. ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურს“ (PIBA-ს) შეუძლია როსტერის სიიდან ამოიღოს ნებისმიერი ის განმცხადებელი, რომელიც გააუქმებს მიღებულ „სტანდარტულ შრომით ხელშეკრულებას“ (SEC-ს) ან ვინც არ მიიღებს „სტანდარტულ შრომით ხელშეკრულებას“ (SEC-ს) საპატიო მიზეზის გარეშე და შეატყობინებს საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს" (SESA-ს) ამგვარი გამორიცხვის შესახებ.
8. ის განმცხადებლები, რომელთაც უარი ეთქვათ ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურის“ (PIBA-ს) მიერ ან რომელთაც არ შეასრულეს ამ ოქმის შესაბამისი მოთხოვნები, მათ აღარ ექნებათ უფლება შეიტანონ განცხადება მომავალში ისრაელში დასაქმებისთვის.

9. საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო" SESA მოამზადებს მუშაკს ისრაელში ჩასვლისთვის, მათ შორის დაეხმარება მუშაკს სავიზო განაცხადის წარდგენაში და დაეხმარება მას მოგზაურობის ორგანიზებაში, მათ შორის გონივრული საბაზრო განაკვეთით ავიაბილეთების შეძენაში. იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო შემოწმების შედეგები ან პოლიციის მიერ მიღებული ცნობა არ არის ნამდვილი/ვალიდური, საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო" SESA ინსტრუქტაჟს ჩაუტარებს განმცხადებელს რათა მან სასწრაფოდ განაახლოს გამოკვლევები/ ცნობა ნასამართლეობის არქონაზე.
10. საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო" SESA შეატყობინებს ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურს“ (PIBA-ს) მუშაკის სამგზავრო მარშრუტის შესახებ და თითოეულ მუშაკს გადასცემს „სტანდარტული შრომით ხელშეკრულების“ (SEC-ის) მისთვის განკუთვნილ ორიგინალის ასლს, რომელიც მან უნდა წარადგინოს ისრაელში შესვლისთანავე.

მუხლი 9 ვიზის გაცემა

1. განმცხადებლის მიერ „სტანდარტული შრომით ხელშეკრულების“ (SEC) ხელმოწერის შემდეგ, საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო" (SESA) ვალდებულია დაეხმაროს განმცხადებელს რათა მან წარადგინოს სავიზო განაცხადისთვის საჭირო დოკუმენტები, როგორც ეს მოცემულია ქვემოთ, „სტანდარტული შრომით ხელშეკრულების“ (SEC-ის) ხელმოწერის დღიდან საქართველოში მოქმედი ხუთი (5) სამუშაო დღის განმავლობაში ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ საჭირო დოკუმენტებთან ერთად, შემდეგნაირად:
 - a. სავიზო განაცხადის ფორმები;
 - b. დამამტკიცებელი საბუთი საქართველოში ნასამართლეობის არქონის შესახებ, რომელიც უნდა თარიღდებოდეს ვიზის განაცხადის წარდგენის თარიღამდე არა უადრეს ექვსი (6) თვისა.
 - c. სამედიცინო შემოწმების დასკვნები და ტუბერკულოზის არქონის შესახებ ცნობა მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, რომელიც უნდა თარიღდებოდეს სავიზო განაცხადის წარდგენის თარიღამდე არა უადრეს სამი (3) თვით ადრე;
 - d. ორი პასპორტის ფოტო (2X2 ინჩის ზომის);
 - e. ბიომეტრიული პასპორტი, რომელიც მოქმედი უნდა იყოს მინიმუმ სამი წლის განმავლობაში;

f. ოფიციალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი/სერტიფიკატი), რომელიც ადასტურებს, რომ მათ წარმატებით გაიარეს და დაასრულეს პროფესიული ტრენინგი საქართველოში, როგორც ექთანი ან ექთნის თანაშემწე, ან დაასრულეს ტრენინგის/გადამზადების პროგრამა სახლის პირობებში გასაწევ სამედიცინო დახმარება/მოვლაში (ან სხვა შესაბამისი სწავლება, რომელზეც უნდა მოხდეს შეთანხმება "თანამშრომლობის ორგანოების" მიერ) ყველაფერი, როგორც ეს გათვალისწინებულია მე-5 მუხლში.

გ. ნებისმიერი სხვა დოკუმენტი მოთხოვნის მიხედვით.

2. საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ" (SESA-მ) უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა შესაბამისი დოკუმენტი წარმოდგენილი იყოს შესაბამისი წესრიგითა და ფორმატით, როგორც ამას მოითხოვს ისრაელის სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოები.
3. საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო" (SESA) გადასცემს სავიზო განაცხადის ყველა ფორმას, პასპორტსა და დამატებით დოკუმენტებს თბილისში ისრაელის საელჩოს საკონსულო განყოფილებას.
4. საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო" (SESA) ასევე პასუხისმგებელი იქნება თბილისში ისრაელის საელჩოს საკონსულო სამმართველოდან პასპორტების მიღებაზე, როგორც კი დასრულდება ისრაელის საელჩოს საკონსულო სამმართველოს მიერ ვიზების გაცემა და მათ დაბრუნებაზე განმცხადებლებზე.
5. თბილისში ისრაელის საელჩოს საკონსულო განყოფილება შეისწავლის წარდგენილ დოკუმენტებს და შესაძლოა მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია ან გასაუბრება ან ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტები ან გასაუბრება მშობლებთან, მეუღლესთან ან შვილებთან. თუ ყველა საჭირო დოკუმენტაციის მიღების და ყველა საჭირო შემოწმების ჩატარების შემდეგ, უარის მიზეზი არ აღმოჩნდა, მათ უნდა გასცენ ვიზა თითოეულ განმცხადებელზე, რაც პირს საშუალებას მისცემს შევიდეს ისრაელში, რათა იმუშაოს დამხმარე მუშაკად ისრაელში გრძელვადიანი მოვლის საჭიროების მქონე პაციენტებისათვის განკუთვნილ სამკურნალო დაწესებულებებში, როგორც ეს დაფიქსირებულია იმ „სტანდარტულ შრომით ხელშეკრულებაში“ (SEC) რომელსაც მან ხელი მოაწერა. სავიზო განაცხადზე უარის შემთხვევაში, ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახური“ (PIBA) ვალდებულია შეატყობინოს განმცხადებელს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს" (SESA-ს) საშუალებით უარის თქმის მიზეზი და აცნობოს ამის შესახებ დამსაქმებელს. სამსახურის შეთავაზება/„სტანდარტული შრომითი ხელშეკრულება“ (SEC) ავტომატურად იქნება გაუქმებული და ისრაელის

„მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურს“ (PIBA-ს) შეუძლია SESA-ს გადასცეს სამსახურის შეთავაზება/„სტანდარტული შრომითი ხელშეკრულება“ (SEC) ალტერნატიულ განმცხადებელზე როსტერის სიიდან.

6. აღნიშნული მუხლის განხორციელებაში საქართველოს "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს" (SESA-ს) დახმარება შეიძლება გაუწიოს ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურთან“ (PIBA-სთან) შეთანხმებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ.

მუხლი 10

დასაშვები მოსაკრებლები და გადასახადები

1. განმცხადებლის ან დამხმარე მუშაკის მიერ გადასახდელი დასაშვები მოსაკრებლები და გადასახადები წინამდებარე ოქმისა და „შეთანხმების“ შესაბამისად მათ დაქირავებასთან დაკავშირებით, უნდა განისაზღვროს მხოლოდ აღნიშნული ოქმის A დანართში მითითებული დებულებების მიხედვით.
2. თანამშრომლობის ორივე ორგანომ უნდა მიიღოს ყველა გონივრული და საჭირო ზომა, რათა აღკვეთოს განმცხადებლებისგან ან დამხმარე მუშაკებისგან მათ დაქირავებასთან დაკავშირებით მოსაკრებლების ან გადასახადების უკანონო შეგროვება ამ ოქმისა და შეთანხმების შესაბამისად, იქნება ეს პირდაპირი თუ ირიბი ფორმით, ამ ორიდან ნებისმიერ ქვეყანაში.
3. შერჩეულ კანდიდატებს უნდა დაეკისროთ როგორც მოგზაურობის ხარჯები საქართველოს შიგნით, ასევე ისრაელის მიმართულებით თვითმფრინავის ორმხრივი ბილეთების ხარჯები.
4. დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს ისრაელში სათანადო საცხოვრებელი ადგილი დამხმარე მუშაკებისთვის, ისრაელის რეგლამენტში გათვალისწინებული სტანდარტის შესაბამისად მუშაკთა დასაქმების პერიოდის განმავლობაში (და სამუშაოს დასრულებიდან სულ მცირე არანაკლებ შვიდი დღის განმავლობაში) და შეუძლია მოახდინოს ხელფასიდან ყოველთვიური თანხების ჩამოჭრა, როგორც ეს განსაზღვრულია ისრაელის რეგლამენტში საცხოვრებელის, ასევე მასთან დაკავშირებული ხარჯების (წყლის, ელექტროენერგიის, მუნიციპალური გადასახადების) გადახდებში მონაწილეობისთვის. გარდა ამისა, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დამხმარე მუშაკი სამედიცინო დაზღვევით ისრაელის რეგლამენტით განსაზღვრული დასაქმების პერიოდის განმავლობაში და შეუძლია გამოქვითოს ყოველთვიური თანხა მუშაკის ხელფასიდან, როგორც ეს განსაზღვრულია

ისრაელის რეგულაციებით ზემოთ მოცემული დაზღვევის ხარჯებში მონაწილეობისთვის. ზემოაღნიშნული დაზღვევა არ მოიცავს/არ ფარავს, მათ შორის, ადრე არსებული ქრონიკულ დაავადებებს და იმ შემთხვევებში როდესაც აღმოჩნდება, რომ ოთხმოცდაათ-დღიანი (90) მკურნალობის შემდეგ მუშაკს არ შეუძლია დაუბრუნდეს სამუშაოს როგორც დამხმარე მუშაკი ისრაელში, მაშინ დაზღვევა აანაზღაურებს მხოლოდ მუშაკის დაბრუნებას თავის ქვეყანაში და არ აანაზღაურებს მის შემდგომ მკურნალობას.

მუხლი 11

გამგზავრებამდე გაცნობითი ინსტრუქტაჟი

1. გამგზავრებამდე, "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ" (SESA) შერჩეული თანამშრომლებისთვის უნდა მოახდინოს გაცნობითი ინსტრუქტაჟი იმ მასალების შესაბამისად, რომლებიც, მათ შორის, მოწოდებული იქნება ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურის“ (PIBA-ს) მიერ, რომელშიც ისინი, მათ შორის, მიიღებენ ინფორმაციას შემდეგთან დაკავშირებით:
 - a. „სტანდარტული შრომითი ხელშეკრულების“ (SEC-ის) დეტალები;
 - b. დამხმარე მუშაკის/ დამსაქმებლის უფლებები და მოვალეობები ისრაელში (მათ შორის დამხმარე მუშაკისადმი მოთხოვნა დატოვოს ისრაელი მაშინვე, როგორც კი დასრულდება კანონიერი დასაქმების პერიოდი ისრაელში);
 - c. ისრაელის კულტურა;
 - d. ისრაელში ჩასვლის შემდგომი და საგანგებო სიტუაციების საკონტაქტო ინფორმაცია ისრაელში, მათ შორის უცხოელი მუშებისთვის განკუთვნილი სატელეფონო ქოლ-ცენტრის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც ისრაელში მართავს ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახური“ (PIBA) ინგლისურ და რუსულ ენებზე, რომელიც განკუთვნილია ისრაელში ჩასვლის შემდეგ დასაქმებულთა საჩივრებისა და შეკითხვებისთვის (შემდგომში "ქოლ-ცენტრი"), შრომის, სოციალური დაცვისა და მომსახურების სამინისტროში უცხოელ მუშათა შრომითი უფლებების ომბუდსმენის საკონტაქტო ინფორმაცია (შემდგომში „ომბუდსმენი“) და ისრაელში საქართველოს საკონსულოს საკონტაქტო ინფორმაცია.
2. გაცნობითი ინსტრუქტაჟის ფარგლებში, განმცხადებლებს ეცნობებათ ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურის“ (PIBA-ს) მიერ მოწოდებული ვებ-გვერდის მისამართი, რომელიც მოიცავს უცხოელ მუშათა/მშრომელთა უფლებების სახელმძღვანელოს რუსულ ენაზე, სადაც მოცემულია მათი უფლებები და მოვალეობები ისრაელში.

მუხლი 12
დასაქმებულთა შესვლა ქვეყანაში

1. "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს" (SESA-ს) წარმომადგენლებმა, ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურთან“ (PIBA-სთან) თანამშრომლობით, კოორდინაცია უნდა გაუწიოს შერჩეული დამხმარე მუშაკების ისრაელში მოგზაურობას, რაც მოხდება ჯგუფურად (თუ ეს შესაძლებელია), თანამშრომლობის ორგანოებს შორის წინასწარ შეთანხმებულ თარიღებსა და დროებში. "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო" (SESA) შეატყობინებს ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურს“ (PIBA-ს) დასაქმებულ მუშაკთა სამგზავრო მარშრუტის შესახებ მინიმუმ ათი (10) დღით ადრე ისრაელში ჩასვლამდე და მათში რაიმე ცვლილების შესახებ, იმისათვის რათა შესაძლებელი იყოს წინასწარი შეტყობინების გაგზავნა ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურის“ (PIBA-ს) მიერ დამსაქმებლისთვის. მუშაკი უზრუნველყოფილი იქნება „სტანდარტული შრომითი ხელშეკრულების“ (SEC-ის) ორიგინალით/დედანი, რომელიც მან აუცილებლად უნდა წარადგინოს ისრაელში შესვლისთანავე. შეძენილი ავიაბილეთის თარიღი უნდა იყოს ისეთი, რომ მუშაკი ჩამოვიდეს ისრაელში რაც შეიძლება მალე და არაუგვიანეს 30 დღისა „სტანდარტული შრომითი ხელშეკრულების“ (SEC) ხელმოწერის დღიდან.
2. დამხმარე მუშაკის ისრაელში ჩასვლისთანავე მას დახვდებიან ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურის“ (PIBA-ს) წარმომადგენლები და მათ უნდა მიიღონ ნებართვა ისრაელში მუშაობისთვის, რაც შტამპის სახით ჩაერთვებათ პასპორტში, რომელიც ძალაშია ერთი წლის განმავლობაში და რომლის განახლებაც შესაძლებელია ყოველწლიურად, ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახურის“ (PIBA-ს) პროცედურებისა და ისრაელის კანონმდებლობის შესაბამისად.
3. ჩამოსვლის შემდეგ დამხმარე მუშაკს გადაეცემა დამსაქმებლის მიერ ხელმოწერილი შრომითი ხელშეკრულების ორიგინალი და შესაძლებელია მოსთხოვონ შრომით ხელშეკრულებაზე დასვან მათი ორიგინალი ხელმოწერა, რათა თითოეულ მხარეს ჰქონდეს ხელმოწერილი დოკუმენტების ორიგინალი/ დედანი.
4. ისრაელის „მოსახლეობისა და საემიგრაციო სამსახური“ (PIBA) ვალდებულია შეატყობინოს დამსაქმებელს იმ თარიღისა და დროის შესახებ, როდესაც დაგეგმილია დამხმარე მუშაკის ჩამოსვლა და ასევე მათში ნებისმიერი ცვლილების შესახებ. დამსაქმებლის წარმომადგენელი უნდა დახვდეს დამხმარე მუშაკს აეროპორტში და წაიყვანოს დამხმარე მუშაკი მის საცხოვრებელში/ სამუშაო ადგილზე.

